

INFLUENCE OF INFORMATION WAR ON MEDIA COVERAGE DURING THE FOUR-DAY CONFRONTATION OF ARMENIA-AZERBAIJAN IN 2016

(CASE STUDY)

Aptsiauri Elene,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: მაია ტორაძე

ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი. ჰიბრიდული ომის ელემენტების, განსაკუთრებით კი, საინფორმაციო ომების, გამოყენებამ უკანასკნელ პერიოდში მასშტაბური ხასიათი შეიძინა და სამხედრო, სახელმწიფოებრივი თუ სხვა მიზნების მიღწევის კარგ საშუალებად იქცა. ეს კი მედიისთვის სერიოზული საფრთხეა, რათა, აქტიურად მიმდინარე საინფორმაციო ომის პირობებში, არ იქცნენ დაპირისპირებული მხარეების იარაღად.

ნაშრომის მიზანია საინფორმაციო ომის გავლენის კვლევა სამი ქართული და ერთი რუსული ტელემაუწყებლის („რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „RT“) კონტენტზე.

სომხეთ - აზერბაიჯანს შორის შეიარაღებული კონფლიქტი უახლოეს წარსულში მოხდა და დღესაც აქტუალურია, მისი ანალიზისა და კვლევის სამეცნიერო ნიმუშები კი, ძალზე ცოტაა. მოვლენების ამ რაკურსით კვლევა პირველად ჩატარდა და გარკვეული შედეგები მოგვცა მომავალში მედიაგაშუქების დასახვეწად.

კვლევის პერიოდში შევისწავლეთ 16 საინფორმაციო გამოშვება და 9 სიუჟეტი, რომლის საკვლევადაც გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. კვლევა დაეყრდნო ფრეიმინგის თეორიას.

კვლევის შედეგად მივედით შემდეგ დასკვნამდე, რომ ქართული მედიის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა არა საინფორმაციო ომის ზეგავლენას, არამედ საკითხის არც თუ ისე სიღრმისეულად გაშუქებას, რადგან ფოკუსირება ძირითადად ფაქტების აღწერასა და მხარეების ოფიციალური პოზიციების დაფიქსირებაზე იყო გადატანილი, აქტიურად მიმდინარე საინფორმაციო ომი კი უყურადღებოდ დარჩა; ხოლო „RT-ის“ შემთხვევაში იყო ნეგატიური გაშუქება და საინფორმაციო ომის ნიშნები.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო ომი, საინფორმაციო ომის გავლენა მედიაგაშუქებაზე, საერთაშორისო სტანდარტები საომარი მოქმედებების გაშუქების

დროს, სომხეთ-აზერბაიჯანის 2016 წლის დაპირისპირება, კვლევა ქართულ და რუსულ მედიაში.

Abstract. Elements of hybrid warfare, especially Information wars, are used very often in recent years. Information wars are a good way to achieve military, state or other goals. This fact is a serious threat to the media in order to keep the guns in the hands of the opposing parties during an active news war.

The purpose of the work is to research the impact of news war on the content of three Georgian and one Russian TV broadcaster ("Rustavi 2," "Imedi," "Public Broadcasting," "RT")

Armed conflict between Armenia and Azerbaijan has been in the near past and is still relevant today. Scientific samples of his analysis and research are very few. The survey was conducted for the first time and gave us some results in the future to improve media coverage.

During the research period, we studied 16 news outlets and 9 stories, which we used in quantitative and qualitative content analysis. The study relied on the theory of Framing .

As a result of the survey we came to the conclusion that the Georgian media did not have an impact on the Information war and the issue was not covered in depth. The focus was mainly on the description of the facts and the official position of the parties, and the active information war remained unattended; And in the case of "RT" there is negative coverage of the issue and information war signs.

KEYWORDS: Information war, Influence of information war on media coverage, international standards in coverage of military actions, confrontation between Armenia and Azerbaijan in 2016, research in Georgian and Russian med

შესავალი

კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა

ისტორია აჩვენებს, რომ ლოკალური კონფლიქტების გავლენა მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე ძალზედ მაღალია. ისეთი კონფლიქტებიც კი, რომლებიც, ერთი შეხედვით, მხოლოდ პატარა ქვეყნებისთვისაა საფრთხის შემცველი, გლობალური საინფორმაციო გარემოსთვის რეალურად მნიშვნელოვან ცვლადს წარმოადგენს. ასეთი ლოკალური კონფლიქტის მაგალითია კავკასიის რეგიონში მდებარე მთიანი ყარაბაღი, რომელსაც ხშირად „გაყინული კონფლიქტის“ სახელით მოიხსენიებენ.

სომხეთ - აზერბაიჯანის დაპირისპირებას დიდი ისტორია აქვს. მისი დაწყების ზუსტ თარიღზე დღემდე დავობენ. 1994 წელს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მოეწრა ხელი. ამის შემდეგ შეიარაღებული შეტაკებები ხშირად ხდებოდა, თუმცა, მათ შორის, 2016 წლის ოთხდღიანი ომი ყველაზე ფართომასშტაბიანი აღმოჩნდა. ამასთან, მასში შერწყმული იყო ძველი და ახალი თაობის ომის სახეობები, ანუ, სამხედრო მოქმედებების პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო ომიც. „ამ დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციული და კიბერ ომი საბრძოლო მოქმედებების განყოფილ ნაწილად იქცა (CyberHouse, 2016).“

ბუნებრივია, კონფლიქტი, რომელიც რეგიონის შემადგენლობაში შემავალ ქვეყანაში ხდება, სახიფათოა სხვა სახელმწიფოებისთვისაც. არსებობს არაერთი მიზეზი თუ რატომ არის სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი. ყარაბაღი საქართველოსთან ტერიტორიულად ახლოსაა - თითქმის იმავე მანძილითაა დაშორებული თბილისიდან, როგორც ბათუმი (ნამჩავაძე, ბ., 2016). ამასთან, ბ. ნამჩავაძის აზრით, იმის გამო, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოს მსხვილი ეკონომიკური პარტნიორები და საგარეო ვაჭრობითა და ტურიზმით დაკავშირებული ქვეყნებია, შესაძლებელია, კონფლიქტს მოჰყვეს ინვესტიციებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპის შემცირება; საქართველოს ენერჯო ინფრასტრუქტურის მიზანში ამოღების საფრთხეებსა და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებულ რისკებზე საუბრობს სომხეთში არსებული რეგიონული კვლევების ცენტრის დირექტორი რიჩარდ გირაგოსიანი (გირაგოსიანი, რ., 2017); ასეთივე საფრთხედ მიიჩნევა სომხეთში მდებარე მეწამულის ატომური ბირთვული ელექტოსადგურის თუნდაც შემთხვევით დაზიანება¹; ანალიტიკოსი ლ. გოგოლაძე თვლის, რომ ამ ყველაფერმა შეიძლება ეთნიკური დაპირისპირებაც გამოიწვიოს საქართველოს ტერიტორიაზე (გოგოლაძე ლ., 2016), რადგან, თუ საქსტატის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ, ეროვნებით ქართველი მოსახლეობის შემდეგ, ყველაზე დიდი დიასპორა სწორედ სომხეთსა და აზერბაიჯანს ჰყავს (ქვეყნის მაცხოვრებელთა 6,3% აზერბაიჯანელია, 4,5 კი - სომეხი²). კონფლიქტოლოგი ზაზა ცოტნიაშვილი კი სიტუაციის დიდ რელიგიურ დაპირისპირებაში გადაზარდასაც არ გამორიცხავს. ასევე ყურადღებას ამახვილებს აზერბაიჯანისთვის პაკისტანის, როგორც ბირთვული სახელმწიფოს მხარდაჭერაზე³.

ანალიტიკოსთა მოსაზრებით, „საქართველო არის ზუსტად კონფლიქტის შუაში და, მისი გვერდის ავლით, ვერც რუსეთი - სომხეთს და ვერც თურქეთი - აზერბაიჯანს

¹ <https://www.youtube.com/watch?v=NVwGzTDd8UA;>

² <http://census.ge/ge/mosakhleobis-2014-tslis-sakoveltao-aghtseris-dziritadi-shedegebi-zogadi-informatsia/201#.WyAfeozbIW;>

³ <https://www.youtube.com/watch?v=NVwGzTDd8UA.>

სახმელეთო და საჰაერო დახმარებას ვერ გაუწევენ“. ამიტომ ჩნდება განსაკუთრებული საფრთხე საქართველოს, როგორც სატრანზიტო მაგისტრალის გამოყენებისა (გოგოლაძე, ლ.,2016). საგულისხმოა ისიც, რომ რუსეთი და სომხეთი არიან კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრები (CSTO), რომელიც ითვალისწინებს სამხედრო პარტნიორობას, რის საფუძველზეც ნებისმიერ წევრ ქვეყანაზე ძალადობა ყველა მათგანაზე შეტევად აღიქმება⁴.

ჩვენი კვლევის აქტუალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საინფორმაციო ომების პირობებში (ნებისმიერი კონფლიქტის დროს) საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ობიექტური ინფორმაციის ფლობა და საზოგადოების დაცვა პროპაგანდისტული ზეგავლენისაგან. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მედიის სტანდარტების მიხედვით მუშაობა, მით უფრო, რომ უკვე აღარ არსებობს ლოკალური და გლობალური კონფლიქტები. საჭიროა, დავაკვირდეთ და განვიხილოთ შეცდომები, შემდეგ კი განვიხილოთ გაკვეთილებზე ვისწავლოთ და მომავალში გავაუმჯობესოთ გაშუქების ხარისხი.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია დაკვირვების გზის დავადგინოთ, რამდენად მოახდინა გავლენა საინფორმაციო ომმა მედიის მუშაობაზე ამ კონფლიქტში და დაარღვეს თუ არა (და როგორ) ჟურნალისტებმა საყოველთაოდ აღიარებული მედიასტანდარტები ომის გაშუქების დროს.

კვლევის სიახლე

ომი უახლოეს წარსულში მოხდა და მისი ანალიზის, კვლევის სამეცნიერო ნიმუშებიც მცირედ მოიპოვება. აღნიშნული მოვლენების ამ რაკურსით კვლევა პირველია და შესაბამისად გარკვეულ შედეგებს მოგვცემს მომავალში მედიაგაშუქების დასახვეწად.

საკვლევი კითხვები

კვლევის დაწყებამდე შემუშავდა შემდეგი კითხვები:

- რა სიხშირით შუქდებოდა მედიაში სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი და რამდენჯერ იყო იგი საინფორმაციო გამოშვების დღის მთავარი თემა?
- ირღვეოდა თუ არა ომის მიმდინარეობისას ომის გაშუქების საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები?
- რა წყაროებს ეყრდნობოდნენ ქართველი ჟურნალისტები, ვინ იყო მათი პირველწყარო?

⁴ https://en.wikipedia.org/wiki/Collective_Security_Treaty_Organization;

- ხომ არ ექცეოდნენ გავლენის ქვეშ ჟურნალისტები უშუალოდ ადგილზე მუშაობის დროს?
- მსჯელობდნენ თუ არა საკითხის გაშუქებისას საქართველოსთვის არსებულ საფრთხეებზე?
- შუქდებოდა თუ არა საბრძოლო მოქმედებების პარალელურად მიმდინარე საინფორმაციო ომი?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევისწავლეთ შემდეგი ტელეკომპანიები: „იმედი“ და „რუსთავი 2,“ რომლებიც შეირჩა რეიტინგის მიხედვით;⁵ „საზოგადოებრივი მაუწყებელი,“ როგორც ეროვნული ტელემაუწყებელი და „Russia Today,“ რუსული პროპაგანდისტული ტელევიზია, რომელიც არაერთ ქვეყანაში მაუწყებლობს და, პოლიტიკური მიზნების მიღწევას - რუსეთის იდეოლოგიის დამკვიდრებას - ყალბი ინფორმაციების, ე.წ. „Fake News“-ების, გავრცელებით ცდილობს.

საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 2016 წლის 2-5 აპრილი, საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობის პერიოდი. ასევე გაანალიზებულია 2016 წლის, 31 დეკემბრის, შემაჯამებელი გადაცემები, იმის დასადგენად, თუ რამდენად სერიოზულად და მნიშვნელოვნად აღიქვამს მედია ამ კონფლიქტს და უბრუნდება თუ არა გარკვეული დროის შემდეგ მის განხილვას. გაანალიზდა ქართული ტელეარხების 16 მთავარი საინფორმაციო გამოშვება და RT-ის 9 სიუჟეტი.

საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა:

- მედიასაშუალებები, საინფორმაციო ომის მიმდინარეობისას, ექცეოდნენ გარკვეული ძალების ზეგავლენის ქვეშ და არღვევდნენ ომის გაშუქების სტანდარტებს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა მედიის კვლევის ერთ-ერთი მეთოდის - **შემთხვევის ანალიზის** მიხედვით, გამოვიყენეთ მისი ორი ტიპი: ალწერთი, საკითხის შესასწავლად და კვლევითი - მედიასაშუალებებზე დაკვირვებისა და საინფორმაციო ომის შესაძლო გავლენის კვლევისათვის (Yin, R.K.,1994).

გამოყენებულია **რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი**.

ყარაბაღის კონფლიქტის ანალიზის დროს **კლიპინგის** მეთოდით დავთვალეთ საკვლევ ობიექტებში მასალების რაოდენობა, ქრონომეტრაჟი და რიგითობა, რამაც მოგვცა

⁵ <http://www.bm.ge/ka/article/tvmr-2017-wlis-yvelaze-reitinguli-televiziebi/16418>.

გარკვეული მონაცემები შინაარსობრივი ანალიზის გასაკეთებლად. რაც თავის მხრივ დაგვეხმარა, დაგვედგინა, ირღვეოდა თუ არა საინფორმაციო ომის გავლენით გაშუქების სტანდარტები, რა წყაროებს ეყრდნობოდნენ ჟურნალისტები, ადგილზე ჰყავდათ თუ არა საკუთარი წარმომადგენლები, იყო თუ არა აღქმული საქართველოსთვის არსებული საფრთხეები.

სიუჟეტების ტონალობის განსაზღვრისა და გავლენის შეფასებისთვის გამოვიყენეთ **ტონალობის ანალიზი**, რომლის მიხედვითაც დავაკვირდით ტელევიზიებს, თუ როგორ იყვნენ განწყობილები რომელიმე მხარის მიმართ - „პოზიტიურად“, „ნეგატიურად“ თუ „ნეიტრალურად.“ ანალიზის ეს ფორმა, სუბიექტურ შეფასებას იყენებს, მასალის შინაარსში ობიექტების მიმართ გამოხატული კეთილგანწყობის ან არაკეთილგანწყობის განსაზღვრისთვის (მიქელსონი, დ., გრიფინი, ტ.,ლ., 2005).

კვლევის სრულყოფისათვის ასევე გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდის - **სიღრმისეული ინტერვიუს** ნახევრად სტრუქტურირებული ფორმა, რამაც საშუალება მოგვცა მოგვეძიებინა სხვა მნიშვნელოვანი და უცნობი დეტალები, უკვე არსებული მასალების გარდა. ამ გზით შესაძლებელია ისეთი მონაცემების შეგროვება, რომელიც საშუალებას იძლევა შევადაროთ მიღებული მონაცემები (Weerakkody, N., 2009).

ინტერვიუები ჩავატარეთ კონფლიქტის ზონაში მომუშავე 4 ჟურნალისტთან და 3 ექსპერტთან, რომლებიც დაკავებულნი არიან კონფლიქტების, საინფორმაციო ომებისა და კიბერ უსაფრთხოების თემატიკაზე მუშაობით.

კვლევა დაეყრდნო **ფრეიმინგის თეორიას**, რომელიც „წარმოადგენს, იმას თუ როგორ, რა კონკრეტული იდეით არის დაწერილი და მოწოდებული ესა თუ ის ამბავი, შეიცავს საორიენტაციო ჰედლაინებს, სპეციფიკურ, საჭირო სიტყვებსა და ა.შ.“ (კაპელლა და ჯეიმსონი, 1997).

ფრეიმინგის დახმარებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ გარკვეული ზეგავლენა, გავანალიზეთ თუ რამდენად იცავდნენ ჟურნალისტები ზოგიერთ სტანდარტს, ასევე რამდენად ხშირად ახსენებდნენ რომელიმე მხარეს ან მათ მედიასაშუალებებსა თუ ომის არატრადიციულ ფორმებს.

კვლევის ფარგლებში მომზადდა **სატელევიზიო გადაცემაც.**

თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ომის თანამედროვე ფორმა: საინფორმაციო ომი და მისი შემადგენელი ფუნქციური სფეროები

ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენებამ, უკანასკნელ პერიოდში, პიკს მიაღწია. მათ შორის ყველაზე ხშირად საინფორმაციო ომები გვხვდება. სტაინის შეფასებით, ჩვენ ვართ ინფორმაციული საუკუნის შუა ეტაპზე, რომელმაც, ახალი მიზნები და შესაძლებლობები მოიტანა. ეს 21-ე საუკუნის ომის ფორმებს ცვლის, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ომში ტყვიები სხვა მეთოდებით ჩანაცვლდა, საბოლოო მიზანი მაინც იგივე დარჩა - მოწინააღმდეგის დაპყრობა (Stein, G. J. 1995).

დ. ძიძიშვილი აღნიშნავს, რომ მკვლევრები ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ თანხმდებიან საინფორმაციო ომის ზუსტი დეფინიციის, შემადგენლობისა და ელემენტების შესახებ. ერთი ნაწილი მხოლოდ მედიაპლატფორმებს მოიაზრებს, მეორეს კი მიაჩნია, რომ „მისი ელემენტები არა საშუალებები, არამედ ხერხებია, მაგალითად: დეზინფორმაცია, ჭორების გავრცელება, ფსიქოლოგიური ზემოქმედება, შთაგონება, მითების შექმნა და ა.შ.“ (ძიძიშვილი, დ. 2015).

ტერმინს, პროფესორი დევიდ ალბერტი ნაშრომში - Defensive Information Warfare, მოიხსენიებს, როგორც „ყოველსმომცველს“, რომელიც განსხვავებულ ღონისძიებებს მოიცავს და ამ ღონისძიებებს ჰყოფს, როგორც შედარებით ძველი (კონკურენცია, კონფლიქტი, ომი) და ახალი (პროპაგანდისტული კამპანია, რომელიც მოიცავს მედია ომს, ანუ თავდასხმებს მეთაურებზე (ფიზიკური და არაფიზიკური), ასევე მათ საინფორმაციო წყაროებსა და კომუნიკაციის საშუალებებზე) წარმომავლობის მქონედ (ALBERTS, D.S., 1996).

კიდევ ერთი ავტორთა ჯგუფი საუბრობს ომის ამ ფორმის წარსულ დროსთან კავშირზე, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ ინფორმაცია სამხედრო ოპერაციების ძირითადი ნაწილი იყო საუკუნეების განმავლობაში. სამხედრო ლიდერები აღიარებდნენ მის მნიშვნელოვან როლს, როგორც ბრძოლის ველზე ხელშემწყობ ფაქტორს, ამიტომ ყოველთვის ცდილობდნენ მოეპოვებინათ გადამწყვეტი ინფორმაცია მოწინააღმდეგის შესახებ (Albersts, D.S., Garstka, J.J., Hayes, R.E., Signori, D.A., 2001). ამაზე მიაწინებს ჩინელი სამხედრო სტრატეგისა და თეორეტიკოსის სუნ-ძის (ძვ.წ.აღ. 543 – 495) ნაშრომი „ომის ხელოვნება.“ ის, მტრის გეგმებში ჩაწვდომასთან ერთად, გვთვავობს მისით მანიპულირებისა და დასუსტების უამრავ ხერხს. გამარჯვების მოსაპოვებლად, კი, როგორც ტრადიციულ, ასევე არატრადიციული ძალების გამოყენებას (სუნ-ძი, 2016).

კვლევითი ორგანიზაცია Rand-მა 2013 წელს ჩაატარა კვლევა, რომელშიც აღნიშნულია, რომ აშშ-ის საჰაერო ძალები კვლავ განსაზღვრავენ საინფორმაციო ომს (IW), როგორც

ელექტრონული ომებისა და კომპიუტერული ქსელების ოპერაციების შემადგენლობას (Porche, I. R., Paul, C., York, M., და სხვ., 2013). საბოლოოდ, როგორც შმიტი წერს, ძირითადად, ყველა მკვლევარი მაინც მიდის იმ დასკვნამდე, რომ საინფორმაციო ომი, ეს არის ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებს მოწინააღმდეგის ინფორმაციას, საინფორმაციო სისტემებს და ამავდროულად იცავს საკუთარს (Schmitt, M.N., 2002); სწორედ იმ გარემოში, სადაც ინფორმაციის ფლობა, გავრცელება ან მისით მანიპულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია⁶, საინტერესოა Rand-ის სქემა, სადაც ომი ჩაშლილია შემადგენელი ფუნქციური სფეროების მიხედვით:

ელექტრონული ომი (EW) - ელექტრონული თავდასხმები და თავდაცვა, ომის დროს დახმარება და სპექტრის მართვა-კონტროლი;

კომპიუტერული ქსელის ოპერაციები (CNO) - ინფორმაციის საკუთარი სარგებლობისთვის გამოყენება და დაცვა;

ქსელური ოპერაციები - ინფორმაციის უზრუნველყოფა;

ელექტრომაგნიტური სპექტრის ოპერაციები (EMSO) - სპექტრის მართვა, განაწილების სიხშირე;

საინფორმაციო ოპერაციები (IO) - ელექტრონული ომი, სამხედრო ხრიკები, ფსიქოლოგიური, საიდუმლო და კომპიუტერული ქსელის ოპერაციები;

სიგნალების დაზვერვა (SIGIN) - შეგროვება და მათი დახშობა;

სამხედრო ინფორმაცია, მხარდაჭერის ოპერაციები (MISO) - კოორდინაცია სამხედრო ინფორმაციის მხარდაჭერის ოპერაციებზე;

(ცალკე განიხილება ყოფილი ფსიქოლოგიური ოპერაციები (PSYOP) - ემოციებზე ზეგავლენა, ამოცანებისა და ქცევების მოფიქრება);

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოპერაციები - ძალებზე, პოპულაციებზე ყურადღების გამახვილება;

ცოდნის მართვა - შექმნა, ორგანიზება, გამოყენება და გადაცემა (Porche, I. R., Paul, C., York, M., და სხვ., 2013).

მოლანდერის, რიდლისა და უილსონის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო ომს არ აქვს წინა ხაზი, პოტენციური ბრძოლის ველი ყველგან გვხვდება (Molander, R.C., Riddile, A.S., Wilson, P. A.). ამ მოსაზრებას ამტკიცებს ტეილორიც და ამბობს, რომ ომი მოიცავს ყველა ფრონტს, მათ შორის - ახალ ამბებს, ჟურნალისა და

⁶ https://en.oxforddictionaries.com/definition/information_war.

გაზეთის სვეტებს, საერთაშორისო რადიოსიგნალებს, მუდმივ რეჟიმში, სატელევიზიო და ინტერნეტსივრცეს. თანამედროვე მსოფლიოში მედიის მართვა და მისით მანიპულირება ბრძოლის გადამწყვეტი ფორმაა, რომლითაც დღეს ომებში გამარჯვება მიიღწევა (Tylor, A., 2001).

აქამდე არსებული კონფლიქტების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია, დავუშვათ, რომ ომის გაშუქების სტანდარტების დაუცველობით არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ ჟურნალისტი მოექცეს ყალბი ინფორმაციის (დეზინფორმაციის, პროპაგანდის) ზეგავლენის ქვეშ და განიცადოს საინფორმაციო ომის გავლენა.

1.2. საერთაშორისო სტანდარტები საომარი მოქმედებების გაშუქების შესახებ

მეცნიერები მეორე მსოფლიო ომის დროს არსებული მანიპულირების მეთოდებისგან ბევრად უფრო დახვეწილ მეთოდად მიიჩნევენ თანამედროვე ეპოქის პროპაგანდისტულ სტრატეგიებს. ჟურნალისტებს კი კონფლიქტში მთავარ მოთამაშეებად ხედავენ იმ გარემოში, სადაც მეომარი მხარეები და მთავრობები მათ აღიქვამენ, როგორც არამხოლოდ იარაღს, არამედ პროპაგანდის მანქანას (Gjeltten, T., 1998).

ნოიმენი და ფამი სამშვიდობო ჟურნალისტიკას კატალიზატორის ფუნქციის მქონედ მიიჩნევენ და საუბრობენ იმაზე, რომ ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში მედიაკრიტიკოსები, მშვიდობის აქტივისტები და პროფესიული მედია ასოციაციები ჟურნალისტებს სთხოვენ, ხელი შეუწყონ ჟურნალისტიკას ამ მიმართულებით (Neumann, R., Fahmy, S., 2016). ამას ემსახურება ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (Institute For War & Peace Reporting) მიერ შემუშავებული „მშვიდობის გაშუქების ექსპის სავალდებულო წესი ჟურნალისტებისთვის“:

- კონფლიქტში გარკვევის ვალდებულება - განვითარების ისტორიის, არსის, მოგვარების შესაძლო გზები გამოკვლევა. ომის კანონების, კონფლიქტოლოგიისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესების ცოდნა.
- სამართლიანად გაშუქება - ბალანსის დაცვა, „მნიშვნელოვანი კომპლექსური საკითხების, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებისა თუ ქვეჯგუფების შეხედულებების გაშუქება.“
- კონფლიქტის წინაპირობასა და მიზეზებზე საუბარი - მხარეების ლეგიტიმური და მცდარი უკმაყოფილებების გაჟღერება.
- ადამიანური მხარის წარმოჩენა (ნებისმიერ მხარეს მყოფთა) - „დაბალანსებულად, პროფესიონალურად, ძალდატანების გარეშე.“ ეს ვალდებულება განისაზღვრება, როგორც რესპონდენტების, ისე აუდიტორიის მიმართ.
- სამშვიდობო ინიციატივების გაშუქება (მშვიდობის დამყარებისა და შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯების) იმავე რაოდენობით, რა რაოდენობითაც

შუქდება კონფლიქტის გამწვავება. ასევე საჭიროა მტრულად განწყობილ მხარეთა შორის წყაროების მოძებნა, განსაკუთრებით კი ისეთი წყაროების, რომლებიც „გასცდებიან მოვლენათა მარტივი ბიპოლარული ინტერპრეტირების ფარგლებს.“

- საკუთარი გავლენის აღიარება - ჟურნალისტებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ მათი მომზადებული მასალა გავლენას ახდენს კონფლიქტზე და ადამიანთა ცხოვრებაზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ფრთხილად იყვნენ, რათა არ მოხდეს მათი ბოროტად გამოყენება რომლიმე მხარის მიერ ან ძალადობის წამქეზებლად“ (ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი, 1999).

ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების დამატებითი ოქმის, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (I ოქმი, 1977 წლის 8 ივნისი), მე-3 ნაწილის, მე-3 თავის, 79-ე მუხლის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის რაიონში მომუშავე ჟურნალისტები არ სარგებლობენ რაიმე განსაკუთრებული უფლებითა თუ პრივილეგიით, ისინი განიხილებიან, როგორც ჩვეულებრივი სამოქალაქო პირები⁷

თავი - II. კონფლიქტის შესახებ

2.1. სომხეთ - აზერბაიჯანის დაპირისპირების ისტორია

როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტში⁸ აღნიშნავენ, ყარაბაღის კონფლიქტის ისტორიულ-კულტურული ფესვები აქვს, რაც გასული საუკუნის ბოლოდან იწყება და რომელსაც დღემდე ეთნიკურად სომეხი სეპარატისტები მართავენ.

მთიანი ყარაბაღი საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანის შემადგენლობაში იყო, თუმცა მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკურად სომეხები შეადგენდნენ (გადახაზაძე, ე., 2016).

1988 წლის 22 თებერვალს კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა და სომხეთის კონტროლირებადი გახდა არა მხოლოდ მთიანი ყარაბაღი, არამედ აზერბაიჯანელებით დასახლებული მიმდებარე რაიონებიც, რესპუბლიკის 20%, წერს გაბიევი. რთულ ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩენილმა მხარეებმა ერთმანეთის მოქალაქეებს ეთნიკურად დევნაც დაიწყეს, რის შედეგადაც ათასობით ადამიანმა დაკარგა საცხოვრებელი ადგილი და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ (განსაკუთრებით აზერბაიჯანელი მოსახლეობა) ერთ მილიონს მიაღწია (გაბიევი, ხ., 2003).

⁷<https://bit.ly/2CQfwpN>;

⁸ <https://www.youtube.com/watch?v=K89AnlsogQQ>.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2016 წლის 10 აპრილის სიუჟეტში, განიხილავს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელიც 1994 წელს გაფორმდა. ამ დროისთვის ყარაბაღზე კონტროლი, სომხეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტებს ჰქონდათ დამყარებული და მთიანი ყარაბაღი დამოუკიდებელ რესპუბლიკად იყო გამოცხადებული. აზერბაიჯანული მხარე მიიჩნევს, რომ ომი არა სომხეთთან, არამედ რუსეთთან წააგეს, ასევე აპროტესტებენ სომხეთშიც, არ მოსწონთ, რომ აზერბაიჯანისთვის იარაღის ნომერ პირველი მიმწოდებელი მათი ტრადიციული სამხედრო პარტნიორი - რუსეთია.⁹

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, 1994 წელს ეუთოს ბუდაპეშტის სამიტზე რუსეთის, ამერიკისა და საფრანგეთის წარმომადგენლობის თავმჯდომარეობით, ჩამოყალიბდა მინსკის ჯგუფი¹⁰.

1994 წლის შემდეგ გარკვეული ინციდენტები სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სულ ხდებოდა, ვკითხულობთ საგარეო ურთიერთობა საბჭოს ვებგვერდზე, თუმცა 2016 წლის 2-5 აპრილს იყო ყველაზე მწვავე დაპირისპირება¹¹ და „გაყინულმა კონფლიქტმა“ ღღობა დაიწყო.

ბროსი ამბობს, რომ სიტუაცია სწორედ მაშინ გამწვავდა, როდესაც სომხეთისა და აზერბაიჯანის პირველი პირები (სერჟ სარქისიანი და ილჰამ ალიევი) საკუთარ ქვეყნებში აშშ-ის ბირთვული უსაფრთხოების სამიტთან ბრუნდებოდნენ (Broers, L.,2016).

დაპირისპირების უეცარი აფეთქების მიზეზად ორივე მხარე განსხვავებულ და ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიას ასახელებს, აღნიშნავენ აჰმედბეილი და კარაპეტანი (აჰმედბეილი, ს., კარაპეტანი, ა.,2016).

2.2. საინფორმაციო ომი სამომავლო მოქმედებების პარალელურად

ოთხდღიანი ომის დროს აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო ომიც - წერს Cyber House¹². მხარეები ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, როგორც საკუთარი წარმატების, ასევე მოწინააღმდეგის წარუმატებლობის შესახებ, აყალბებდნენ ინფორმაციასა და მონაცემებს, ურთიერთბრალდებების ფონზე შეცდომაში შეჰყავდათ საზოგადოება (Cyber House, 2016).

⁹ <https://www.youtube.com/watch?v=K89AnlsogQQ> ;

¹⁰ <https://www.osce.org/minsk-group/108306> ;

¹¹ <https://www.cfr.org/interactives/global-conflict-tracker#!/conflict/nagorno-karabakh-conflict>;

¹² <https://bit.ly/2FQ1fyO>;

დამოუკიდებელი, არაკომერციული თურქული კვლევითი ცენტრის - AVIM¹³-ის შეფასებით, სტატიაში ვკითხულობთ, რომ ომის ადრეულ ეტაპზე სომხურმა მედიამ (მათ შორის, სოციალურმა) დაიწყო ინფორმაციის გავრცელება, რომ 50-60 ISIS-ის მებრძოლი გადავიდა აზერბაიჯანში არმიაში გასაწევრიანებლად. ეს ბრალდება კი შეიძლება გავიგოთ, როგორც პროპაგანდა, რომელსაც აქვს პოტენციური უარყოფითი შედეგები გრძელვადიან პერსპექტივაში. გარდა ამისა, პროპაგანდისტული ნაბიჯი იყო ისიც, რომ მედიამ ყურადღება გაამახვილა აზერბაიჯანში ადამიანთა უფლებების დარღვევებზე, რასაც გააკრიტიკებდა დასავლეთი და ალიევს წარმოაჩენდა, როგორც კორუმპირებულ დესპოტს (TUNCEL, T. K., 2016).

კომახია აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანელებმა შეტევები დაიწყეს ყარაბაღისა და სომხეთის საინფორმაციო საიტებსა და სოციალურ მედიაზე, რასაც საპასუხოდ აზერბაიჯანის სამთავრობო საიტებზე შეტევა მოჰყვა. „ამის მტკიცებულებად სომხეთის მხარემ ის ფაქტი მოიყვანა, რომ „სომეხი მოხალისეებით სავსე ავტობუსი „თვითმკვლელმა დრონმა“ ააფეთქა და შვიდი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სომხური მხარის შეფასებით, ავტობუსის ადგილმდებარეობის დადგენა, სავარაუდოდ, საკომუნიკაციო ხაზებზე განხორციელებული კიბერ შეტევის შედეგად მოხდა (კომახია, მ., 2016).

Cyber House - ის სტატიაში ვკითხულობთ, რომ სომხურმა ჰაკერულმა დაჯგუფებებმა DDOS შეტევებით გაითიშეს აზერბაიჯანის სამთავრობო (gov.az) და საინფორმაციო (apa.az, irevanaz.com, anarim.az, aze.az.) საიტები, გატეხეს აზერბაიჯანის პრეს-სააგენტოს ვებგვერდი და მოსკოვში აზერბაიჯანის საელჩოს ტვიტერის გვერდიც (Broers, L., 2016).

მკვლევარი ინგილიზიანი წერს, რომ ამავე დღეს გავრცელდა პრეზიდენტ ალიევის განცხადება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რაც შეფასდა გონივრულ პოლიტიკურ-სამხედრო ტაქტიკურ ნაბიჯად, რომლის მიზანიც გლობალური საინფორმაციო ომის წარმოება და ყარაბაღის სამხედრო მაღალჩინოსნებისთვის გაუგებრობის შექმნა იყო. ფაქტია, რომ ამ მეთოდმა იმუშავა, რადგან დასავლეთის საინფორმაციო გამოშვებებმა და ლიდერებმა სწრაფი რეაგირება მოახდინეს და სომხეთს ბრალი დასდეს ბრძოლის გაგრძელებაში, თუმცა რეალურად ბრძოლა არც შეწყვეტილა, პირიქით, პრეზიდენტის ამ განცხადებას მალევე მოჰყვა აზერბაიჯანის თავდასხმები ყარაბაღის სამხრეთ ნაწილებზე (Ingilizian, M., 2016).

Cyber House-ში ვკითხულობთ, რომ 4 აპრილს სომხურმა ჰაკერულმა დაჯგუფებამ გამოაქვეყნა 25 000 აზერბაიჯანელი ჯარისკაცის პირადი მონაცემები, რომელიც მათი ერთ-ერთი სამთავრობო საიტის (სახელი არ დაკონკრეტებულა) გატეხვით მოიპოვეს. ამის საპასუხოდ აზერბაიჯანელმა ჰაკერებმა სომხეთში არსებული რუსეთის საელჩოს ტვიტერი გატეხეს და გამოაქვეყნეს განცხადება, რომ რუსეთი უსამართლოდ იჭერს

¹³ <http://avim.org.tr/en/Yorum/A-SHORT-ASSESSMENT-OF-THE-4-DAY-WAR-IN-KARABAKH> .

სომხეთის მხარეს და ემხრობა ცეცხლის შეწყვეტას, რადგან სომხეთი მარცხდება მათ მოახერხეს გაეთიშათ სომხეთის სამთავრობო პორტალებიც, ეროვნული ბანკის, ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის, ენერგეტიკისა და ეკონომიკის სამინისტროს გვერდები. მიუხედავად იმისა, რომ სომხური მხარე ადასტურებს შეტევების რეალურობას, უარყოფენ თურქი და აზერბაიჯანელი ჰაკერების მიერ მიყენებულ ზიანს.

ომი 5 აპრილს დასრულდა, თუმცა მცირე შეტაკებები 9 აპრილამდე გრძელდებოდა. ერთმანეთის მიმართ ურთიერთბრალდებები და საინფორმაციო ომი ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც არ დასრულებულა. სომხეთ-აზერბაიჯანის „დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციული და კიბერ ომი, საბრძოლო მოქმედებების განუყოფელ ნაწილად იქცა“ (Cyber House, 2016).

III თავი. კვლევა, ძირითად

მიგნებები

3.1. ზოგადი რაოდენობრივი შედეგები

2016 წლის 2 აპრილიდან 5 აპრილის ჩათვლით, დავაკვირდით 4 ტელემაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს (გამონაკლისები: RT-ის ვებგვერდზე განთავსებული სიუჟეტები, რადგან მთლიანი საინფორმაციო გამოშვებები არ მოიპოვება. ნაწილი იყო მხოლოდ კადრები და არა სიუჟეტები, თუმცა ამას კვლევის დასაწყისში დასახული მიზნებისთვის ხელი არ შეუშლია და გარკვეული ტენდენცია მაინც გამოიკვეთა; 3 აპრილის „იმედის“ 5-საათიანი საინფორმაციო გამოშვება გაანალიზდა, რადგან ამ დღეს 20 საათიანი ქრონიკის ნაცვლად გადიოდა ანალიტიკური გადაცემა) და ასევე 3 ქართული ტელემაუწყებლის წლის შემაჯამებელ გადაცემას. ჯამში ყარაბაღის კონფლიქტის მიმდინარეობის ამსახველი 5 დღიანი მონიტორინგის შედეგად 42 მასალა გაანალიზდა, რომელთა საერთო ხანგრძლივობამ 1 სთ. 52 წთ. და 55 წმ. შეადგინა.

საკვლევ პერიოდში საკითხს ყველაზე მეტი 15 მასალა „რუსთავი 2-მა“ მიუძღვნა, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხანგრძლივობითაც (53წთ. და 42 წმ.); შემდეგი იყო „იმედი“ 12 მასალითა და 23 წთ. და 6 წმ. ხანგრძლივობით; „RT,“ რომელმაც 1-ით მეტი (8) მასალა მოამზადა, ვიდრე „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ (7), თუმცა ქრონომეტრაჟში გახლდათ მნიშვნელოვანი სხვაობა: ამ უკანასკნელმა 26 წთ და 24 წმ. დაუთმო კონფლიქტს, „RT“ კი 9 წთ და 43 წმ.

ცხრილი N 1.

ტვ	მასალების რაოდენობა	ქრონომეტრაჟი	რიგითობა
რუსთავი 2	15	53 წთ. 42 წმ.	1-ლი, 2,3 აპრილი; მე-4 , 4 აპრილი; მე-6, 5 აპრილი,
იმედი	12	23წთ. 6წმ.	1-ლი, 2,3 აპრილი; მე-3, 4 აპრილი; მე-5, 5 აპრილი; 31 დეკემბერი- გადაცემის 28წთ და 58 წმ-დან.
საზოგადოებრივი მაუწყებელი	7	26 წთ. 24 წმ.	1-ლი, 2,4 აპრილი; II ბლოკის 1-ლი 3 აპრილი; მე-4 ,5 აპრილი;
RT	8	9წთ. და 43 წმ.	

ასევე გავანალიზეთ სიუჟეტთა რიგითობა საინფორმაციო გამოშვებებში (“RT“-ის გარდა). საბრძოლო მოქმედებების დაწყების პირველი ორი დღე, „რუსთავი 2-ისა“ და „იმედის“ გამოშვებებში, პირველ სიუჟეტად იყო წარმოდგენილი, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში, მხოლოდ 2, 4 აპრილს გავიდა პირველ სიუჟეტად. რაც შეეხება წლის შემაჯამებელ გადაცემებს, კონფლიქტის, ცხელი წერტილებისა და პოლიტიკური საკითხების მიმოხილვის დროს, მხოლოდ „იმედმა“ გაიხსენა მომხდარი.

3.2. კონტენტ-ანალიზი

3.2.1. მონაცემთა ანალიზი სტანდარტებით მუშაობის თვალსაზრისით

კვლევის დასაწყისში ჩამოყალიბებულ მეორე, მესამე და მეოთხე საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად გადავწყვიტეთ აღნიშნულ მედიასაშუალებებზე განსაზღვრულ პერიოდში დაკვირვება (2-5 აპრილის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები და 31 დეკემბრის შემაჯამებელი გამოშვება) ჩაგვეტარებინა კონტენტ-ანალიზის მეთოდითაც, რათა დაგვედგინა, რამდენად მოახდინა საინფორმაციო ომმა და მისმა ელემენტებმა გავლენა მედიის მუშაობაზე; ირღვეოდა თუ არა და როგორ ომის მიმდინარეობისას ომის გაშუქების საერთაშორისო, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები და ნორმები, რა წყაროებს ეყრდნობოდნენ ქართველი ჟურნალისტები, ჰყავდათ თუ არა მედიასაშუალებებს ადგილზე გაგზავნილი ჟურნალისტები, იყო თუ არა მსჯელობა საქართველოსთვის არსებულ საფრთხეებზე და იყო თუ არა დაცული - მშვიდობა - კონფლიქტის გაშუქების თანაფარდობა.

ცხრილი N2. 1-ლი სტანდატი კონფლიქტის (ისტორიის, არსისა და მოგვარების შესაძლო გზების) ცოდნა

ტვ	2 აპრილი	3 აპრილი	4 აპრილი	5 აპრილი	31/ XII
რუსთავი 2	ისტორია და მოგვარების გზები.	ისტორია მოკლედ.	დღის მიმოხილვა.		
იმედი	ისტორია (მცირედ).	ისტორიისა და წინა დღეების მიმოხილვა.	მიმდინარე დაპირისპირების მიმოხილვა.	ჩართვები ადგილებიდან სადაც იყო საბრძოლო მოქმედებები. მსხვერპლის გაშუქება; ყარაბაღის აზერბაიჯანული მხარის სამხედროების დასაფლავების კადრები;	კონფლიქტის არსი.
საზოგადოებრივი მაუწყებელი	ისტორია.	ისტორიისა და მიმდინარე ამბების მიმოხილვა.	ისტორიისა და მიმდინარე ამბების მიმოხილვა.	წარსულის მიმოხილვა.	
RT					

„რუსთავი 2-ისა“ და „იმედის“ ეთერში 2 და 3 აპრილის გამოშვებაში მიმოხილულია კონფლიქტის ისტორია, მოგვარების შესაძლო გზები. შემდეგი 2 დღე კი ძირითადად მიმდინარე ამბებს ეთმობა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2 აპრილის გადაცემაში ისტორია წარმოდგენილია მოგვარების გზები კი - არა. 3 აპრილს მიმდინარე ამბების მიმოხილვაა, თუმცა სტუმართან საუბარი, გარკვეულწილად, მოიცავს ისტორიასაც. 4 აპრილს საუბრობენ, როგორც ძველ დაპირისპირებაზე, ასევე მიმდინარეზე და მოგვარების გზად განიხილავენ საქართველოს, როგორც შუამავლის როლს.

ცხრილი N3. მე-2 სტანდარტი - მხარეთა ბალანსი

ტვ	2 აპრილი	3 აპრილი	4 აპრილი	5 აპრილი	31/XII
რუსთავი 2	დაბალანსებულ ია.	დაბალანსებულია.	აზერბაიჯანი, სომხეთი.	დაბალანსებულია.	
იმედი	ძირითადად აზერბაიჯანული პოზიცია .	დაბალანსებულია.	აზერბაიჯანი, სომხეთი.	დაბალანსებულია.	აზერბაიჯანი.
საზოგადოებრივი მაუწყებელი	ყარაბაღის ერთ მაცხოვრებელთან ინტერვიუ.	დაბალანსებულია.	აზერბაიჯანი, სომხეთი.	ყარაბაღი, აზერბაიჯანი.	
RT		აზერბაიჯანული პოზიცია ნაკლებად.		დაბალანსებულია.	

„რუსთავი 2-მა“ 2 აპრილს წარმოადგინა დაბალანსებულად გაშუქებული ინფორმაცია სომხეთისა და აზერბაიჯანის შესახებ, თუმცა მცირე იყო ყარაბაღის წარმომადგენლებზე. 3 და 5 აპრილს სრულად დაბალანსებული იყო. ხოლო 4 აპრილს ძირითადად სომხეთ-აზერბაიჯანის პოზიციები გახლდათ.

„იმედმა“ 2 აპრილს ძირითადად აზერბაიჯანული პოზიცია გააშუქა. 3 და 5 აპრილს დაცული იყო. 4 აპრილს აზერბაიჯანისა და სომხეთის პოზიციები შუქდებოდა. ხოლო 31 დეკემბრის წლის შემაჯამებელი, რამდენიმე წამიანი მიმოხილვა მთლიანად აზერბაიჯანული მხარის პოზიციებს წარმოადგენდა.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ 2 და 4 აპრილს აშუქებდა ორივე მხარეს, 2 აპრილს ყარაბაღიც გააშუქეს, რაც მხოლოდ ერთ მაცხოვრებელთან ინტერვიუთი შემოიფარგლა.

“RT-ის” შემთხვევაში 3 და 5 აპრილს სამივე პოზიცია გაშუქდა, თუმცა 3 აპრილს აზერბაიჯანული - ნაკლებად. საუბრობდნენ, თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაზე ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და იქვე ამბობდნენ, რომ ამას სომხეთი უარყოფს და საბრძოლო მოქმედებები კვლავ მიმდინარეობს.

ცხრილი N 4. მე-3 სტანდარტი - წინაპირობა და მიზეზები

ტვ	2 აპრილი	3 აპრილი	4 აპრილი	5 აპრილი	3 I/X II
რუსთავი 2	განხილულია.	ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია წარმოდგენილი.			
იმედი	საუბრობენ რომ მიზეზები არ არის ცნობილი.		მიმოხილულია მიზეზები და ერთმანეთის დადანაშაულებ ა.		
საზოგადოებრივი მაუწყებელი	წინაპირობა გაშუქებულია, მიზეზები არა.	შუქდება, რომ აზერბაიჯანულმა მხარემ დაიწყო სროლები ყარაბაღის მიმართულებით, რასაც სამხედრო ოპერაციები მოჰყვა.			
RT					

„რუსთავი 2-მა“ კონფლიქტის დაწყების პირველ დღეს, 2 აპრილს ისაუბრა ომის წინაპირობებსა და მიზეზებზე, 3 აპრილს მოქალაქეებისა და ოფიციალური პირების ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები იყო წარმოდგენილი, ომის დაწყებასთან დაკავშირებით.

„იმედის“ 2 და 4 აპრილის გადაცემაში მხოლოდ დაუდგენელ მიზეზებზე საუბრობდნენ.

„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ 2 აპრილს წინაპირობა გააშუქა, მიზეზები - არა. 3 აპრილს სომხური პოზიციიდან საუბრობდნენ, რომ აზერბაიჯანმა დაიწყო სროლა და ამას მოჰყვა სამხედრო ოპერაციები.

“RT-ის” არ განუხილავს მსგავსი თემა.

ცხრილი N 5. მე-4 სტანდარტი- დაბალანსებულად გაშუქებული ადამიანური მხარე

ტვ	2 აპრილი	3 აპრილი	4 აპრილი	5 აპრილი	31/ XII
რუსთავი 2	დამავებულებსა და დაჭრლებზე საუბარი.	დაბალანსებული ა.	დაბალანსებულ ია.	დაბალანსებ ულია.	
იმედი		გამუქებულია ვიწროდ.		დაბალანსებ ულია(მსხვე რპლსა და მოქალაქეებზე).	
საზოგადოებრივი მაუწყებელი	სომხური მხარის დაღუპულებსა და დაჭრილებზე.				
RT					

„რუსთავი 2-მა“ 2 აპრილს მხოლოდ დამავებულებსა და დაჭრილებზე ისაუბრა. 3 (დიდი რაოდენობით), 4 და 5 აპრილს სიუჟეტები სავსებით დაბალანსებული იყო.

„იმედზე“ 3 აპრილს ცოტა ისაუბრეს მოქალაქეებზე, რომლებიც ცდილობენ სიმშვიდის შენარჩუნებას. 5 აპრილს კი დაბალანსებულად წარმოადგინეს ცნობები მსხვერპლსა და მაცხოვრებლებზე.

„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ 2 აპრილს სომხური მხარის დაღუპულებსა და დაჭრილებზე ისაუბრა.

“RT-ის” გამუქებულ მასალაში 3 აპრილს მხოლოდ ტექსტში მოიხსენიებს ჟურნალისტი მოქალაქეებთან საუბარს.

ცხრილი N 6. მე-5 სტანდარტი- სამშვიდობო ინიციატივები

ტვ	2 აპრილი	3 აპრილი	4 აპრილი	5 აპრილი	31/ X II
რუსთავი 2	შუქდება.		შუქდება ა.	შუქდება.	

იმედი	მოწოდებები ი ცეცხლის შეწყვეტისკ ენ.	გაშუქებულია.	გაშუქებ ულია.	ცეცხლის შეთანხმება.	შეწყვეტის
საზოგადოებრივი მაუწყებელი	გაშუქებულ ია.	საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რუსეთის მოწოდებები.	გაშუქებ ულია.	ცეცხლის შეთანხმება, მინსკის დაგეგმილი ვიზიტი კონფლიქტის ზონაში.	შეწყვეტის
RT		ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა.			

„რუსთავი 2-ის“ 2 აპრილის გაშუქებაში ისმის რესპონდენტთა მოწოდებები საერთაშორისო ორგანიზაციის მეტი ჩართულობისკენ. 4 აპრილს კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართული მოწოდებებია საერთაშორისო საზოგადოებისა და ევროსაბჭოს მიერ. 5 აპრილს აშუქებენ ცეცხლის შეწყვეტასა და სომხეთის პრეზიდენტის მოწოდებას ეუთოს მეტი აქტიურობისკენ, ასევე მინსკის ჯგუფის წევრების ადგილზე ჩასვლასა და მონიტორინგს.

„იმედის“ ეთერში 2, 3 და 4 აპრილის ისმის მოწოდებები ცეცხლის შეწყვეტისკენ. 5 აპრილს შუქდება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2 აპრილის ეთერში წარმოდგენილია რუსეთის მოწოდებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, საუბარია მინსკის ჯგუფზეც და გაშუქებულია ქართველი პოლიტიკოსების პოზიციები, ამ კუთხით. 3 აპრილს საერთაშორისო ორგანიზაციები და კვლავ რუსული მხარის მოწოდებები ისმის. 4 აპრილს გაშუქებულია ლავროვის მოწოდებები, თურქეთის მხარის განცხადებები, ეუთოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა და საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის განცხადება. 5 აპრილს - ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების ვიზიტი კონფლიქტში ჩარულ მხარეებთან.

“RT” 3 აპრილს აშუქებს ცეცხლის ცალმხრივ შეწყვეტას; ხოლო 5 აპრილს ცეცხლის შეწყვეტა არ შუქდება სრულყოფილად, ამბობენ რომ შეტაკებები შეჩერდა, მაგრამ არტილერიული დაბომბვები გრძელდება და აკეთებენ პროგნოზსაც, რომ ეს კრიზისი შესაძლოა ფართო მასშტაბიან ომში გადაიზარდოს.

3.2.2. ტელემაუწყებლების წყაროები კონფლიქტის გაშუქებისას

საბრძოლო მოქმედებების გაშუქების დროს ტელემაუწყებლები მრავალფეროვან წყაროებს იყენებდნენ. პირველ რიგში გამოვიყენეთ პირველწყარო. „რუსთავი 2-ს“ პირველივე დღიდან ადგილზე ჰყავდა საკუთარი კორესპონდენტები. „იმედი“ 3 და 5 აპრილს. „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ სართოდ არ ჰყოლია, “RT-გან“ განსხვავებით.

ცხრილი N 7.

ტელევიზია	საკუთარი კორესპონდენტები
რუსთავი 2	2-დან - 5 აპრილამდე
იმედი	3, 5 აპრილი
საზოგადოებრივი მაუწყებელი	არ ჰყოლია
RT	ჰყავდა

რაც შეეხება ზოგადად წყაროებს, „რუსთავი 2-მა“ გამოიყენა: დაპირისპირებული მხარეების ოფიციალური პოზიციები, მათი მედიასამაღლები და მცხოვრებლები, რუსეთის პოზიცია, ქართველი პოლიტიკოსებისა და სამხედრო ექსპერტების, ასევე ეუთოს, ევოკავშრის, ნატოს ვარაუდები, შეფასება - მოწოდებები.

„იმედი“ იყენებდა: მხარეებისა და მოქალაქეების ოფიციალურ პოზიციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკოსთა და ექსპერტთა კომენტარებს, ასევე სააგენტო ინტერფაქსს, BBC, აზერბაიჯანულ სააგენტოზე დაყრდნობით BBC-ისა და BBC ის რუსული ბიუროს ცნობებს.


„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იყენებდა: რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ოფიციალურ პოზიციებსა და მედიას, ყარაბაღის თავდაცვის სამინისტროს, აზერბაიჯანის სამოქალაქო წრეებს, ქართველ ექსპერტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს.

“RT” იყენებდა: დაპირისპირებული მხარეების ოფიციალურ პოზიციებს, მაცხოვრებლებს, სომხური მხარის სამხედრო პირებს.

3.2.3. კონფლიქტისა და სამშვიდობო ინიციატივების დაბალანსებული გაშუქება და მსჯელობა საქართველოსთვის არსებულ საფრთხეებზე


კონფლიქტის გამწვავებისა და სამშვიდობო ინიციატივების თანაფართობა დაცულია „რუსთავი 2-ის“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, ასევე „იმედის შემთხვევაშიც თუ 31 დეკემბრის მიმოხილვას არ ჩავთვლით. “RT“-მ 2-ჯერ გააშუქა კონფლიქტის გამწვავება, სამშვიდობო ინიციატივები კი არცერთხელ.

დიაგრამა N 1. კონფლიქტისა და სამშვიდობო ინიციატივების გაშუქება



რაც შეეხება მსჯელობას საქართველოსთვის არსებულ საფრთხეებთან დაკავშირებით, „რუსთავი 2-მა“ 2 და 4 აპრილს იმსჯელა, „იმედმა“ 3, 4 აპრილს და „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ 2, 3 და 4 აპრილს.

დიაგრამა N 2. საქართველოსთვის არსებულ საფრთხეებზე მსჯელობა



3.3. მედიის ფრეიმუბი

ფრეიმინგის თეორიის დასადასტურებლად, კონტენტ-ანალიზით დადგინდა საკვანძო სიტყვების გამოყენების სიხშირე, რომლებსაც მედია იყენებდა საკითხის გაშუქების დროს.

ცხრილი N 8.

კოდირების სიტყვები	რუსთავი 2	იმედი	საზოგადოებრივი მაუწყებელი	RT	სულ
კონფლიქტი	30	42	35	5	112
ომი	9	4	7	2	22
ფრონტის ხაზი	12	3	5	1	21
ესკლაცია	11	5	8		24
დეესკალაცია	2	2	2		6
საბრძოლო მოქმედებები	22	12	26	7	67
აზერბაიჯანმა დაიწყო საბრძოლო მოქმედებები	6	5		2	13
სომხეთმა დაიწყო საბრძოლო მოქმედებები	5	3	1	1	10
ცეცხლის შეწყვეტა	22	14	26	4	66
მსხვერპლი	18	2	12	1	33
სტაბილიზაცია	2		1	1	4
2016 წლის კონფლიქტის მიზეზები	2		1		3
რუსეთი	38	11	19		68
საქართველო	15	17	23		55
სომხეთი	82	37	52	5	176
აზერბაიჯანი	107	64	62	8	241
ყარაბაღი	68	27	40	9	144
სომხეთის ოფიციალური პოზიცია	5	7	4		16
აზერბაიჯანის ოფიციალური პოზიცია	17	11	13	3	44
აზერბაიჯანული მედია	5	1	1		7
სომხური მედია	8		2		10
ყარაბაღის მედია	1				1
რუსული მედია	2				2
მინსკის ჯგუფი	4	5	6		15
ორი მხარე	9	3	6	2	20
პროპაგანდა	2				2
საინფორმაციო ომი	1				1
ურთიერთსაპირისპირო მონაცემები	10	4	5		19
ჰიბრიდული გამოწვევები		1			1

საბრძოლო მოქმედებების გაშუქების დროს მედიამ ყველაზე ხშირად დაპირისპირების გამოსახატავად გამოიყენა სიტყვა „კონფლიქტი“ 122-ჯერ, ხოლო ომი 22-ჯერ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ცდილობდნენ სიტუაციის, რაც შეიძლება ნეიტრალური ტერმინით შეფასებას. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით, ესკალაცია - დეესკალაციის შემთხვევაში.

აზერბაიჯანისა და სომხეთის მოხსენიების თანაფარდობა საბრძოლო მოქმედებების დაწყებაში თითქმის ყველა ტელევიზიას დაბალანსებული აქვს. სომხეთის ოფიციალური პოზიცია ყველაზე მეტჯერ ახსენა „იმედმა“, აზერბაიჯანის კი „რუსთავი 2-მა“.

კონფლიქტის მიზეზებზე დიდი ყუადღების გამახვილება მედიამ არ ჩათვალა საჭიროდ, რაც მსგავსი საკითხების გაშუქების ერთ-ერთი სტანდარტია, 2-ჯერ ახსენა „რუსთავი 2-მა“ და ერთხელ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“.

ცეცხლის შეწყვეტა საკმაოდ დიდი რაოდენობით, 66-ჯერ, ახსენეს. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, ეს ტერმინი გამოიყენა 26-ჯერ, რაც ხშირი გამოყენებაა, თუ გავითვალისწინებთ მის ქრონომეტრაჟს.

რუსეთი ჯამში 68-ჯერ ახსენეს, მათ შორის ყველაზე მეტჯერ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ 19-ჯერ. აქედან რუსულ მედიას საუბარი 2 -ჯერ შეეხო „რუსთავი 2-ის“ ეთერში.

3.4. ყარაბაღის 2016 წლის 4 დღიანი კონფლიქტის ტონალობის ანალიზი

ტონალობის განსაზღვრაში დაგვეხმარა კოდირების ანკეტა, რომელიც მოიცავს, როგორც წამყვანის, ასევე ჟურნალისტებისა და რესპონდენტების ტექსტებს. სიუჟეტის ტონალობა 100 ქულიან შკალაზე ფასდება. ნეგატიურ ფრაზებად განისაზღვრა: „ომი“, „ფრონტის ხაზი“, „ესკალაცია“, „აზერბაიჯანმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყო“, „სომხეთმა საბრძოლო მოქმედებების დაწყა“. პოზიტიურად: „დეესკალაცია“, „ცეცხლის შეწყვეტა“, „სიტუაციის სტაბილიზაცია“, „კონფლიქტის მოგვარების გზა“, „სამშვიდობო მოლაპარაკებები/ინიციატ

ივები“. ნეიტრალურად: „კონფლიქტი“, „2016 წლის კონფლიქტის მიზეზები“, „მინსკის ჯგუფი“, „პროპაგანდა“, „საინფორმაციო ომი“, „ჰიბრიდული გამოწვევები“.

ცხრილი N 9. ტონალობის ანალიზი

ტონალობა	რუსთავი 2	იმედი	საზოგადოებრივი მაუწყებელი	RT
ნეგატიური	43	20	21	10
პოზიტიური	26	20	30	3
ნეიტრალური	49	52	47	5

„რუსთავი 2-ის“ სიუჟეტებში ნეგატიური ფრაზები გამოყენებული იყო 43-ჯერ, პოზიტიური 26-ჯერ, ხოლო ნეიტრალური 49-ჯერ. „იმედის“ ეთერში ნეგატიური 20-ჯერ, პოზიტიური 20-ჯერ, ნეიტრალური 52-ჯერ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში ნეგატიური 21-ჯერ, პოზიტიური 30-ჯერ, ნეიტრალური კი 47-ჯერ. „RT-ის“ შემთხვევაში კი ნეგატიური 10-ჯერ (მართალია ცეცხლის შეწყვეტა სხვა ტელევიზიებთან ჩაითვალა პოზიტიურად, თუმცა ამ შემთხვევაში „RT-ს“ ნეგატიურ კონტექსტში ჰქონდა გამოყენებული), პოზიტიური 3-ჯერ და ნეიტრალური 5-ჯერ.

მონაცემთა დაჯამების შედეგად დადასტურდა, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებული დაპისირპირების გაშუქების ტონალობა ჩვენ მიერ შესწავლილ ქართულ მედიასაშუალებებში ნეიტრალურია (148 ნეიტრალური მესიჯი), ხოლო RT -ის შემთხვევაში - ნეგატიური (10 ნეგატიური მესიჯი).

3.5. კონფლიქტის ზონაში მომუშავე ჟურნალისტებისა და ექსპერტების სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი

კითხვარი მომზადდა - „მშვიდობის გაშუქების ექვსი სავალდებულო წესი ჟურნალისტებისთვის“ - სტანდარტებზე დაყრდნობით. სიღრმისეული ინტერვიუსთვის შეირჩა 8 რესპონდენტი, რომლებიც საკვლევ პერიოდში მუშაობდნენ კონფლიქტის ზონაში: დავით ქაშიაშვილი („რუსთავი 2,” ყარაბაღის აზერბაიჯანული მხარე), დავით კაკულია (რუსთავი 2, ყარაბაღის სომხური მხარე, ჟურნალისტმა არ ისურვა ინტერვიუს ამ მიმართულებით ჩაწერა), გურამ როგავა („იმედი,“ ყარაბაღის სომხური მხარე), სოფო მთივლიშვილი („იმედი,“ ყარაბაღის სომხური მხარე), დავით ცაგარელი („იმედი“ ყარაბაღის სომხური მხარე). ასევე 3 ექსპერტი - დავით ძიძიშვილი (თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის წარმომადგენელი), ზაზა ცოტნიაშვილი (კონფლიქტოლოგი), ირაკლი ალადაშვილი („კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველი და ჟურნალ - „არსენალის“ რედაქტორი).

სიღრმისეული ინტერვიუების მომზადების დროს შემუშავდა ორი განსხვავებული კითხვარი ორი მიზნობრივი ჯგუფის წევრებისთვის. ჟურნალისტებს მივაწოდეთ შემდეგი 8 კითხვა: იცნობთ თუ არა აღნიშნულ სტანდარტებს კარგად და თუ იყენებთ მათ პრაქტიკაში? უმუალოდ ამ ომში თუ იყენებდით? იცავდით თუ არა ადგილზე

მუშაობის დროს სტანდარტებს (თუ - კი, რამდენად რთული იყო)? როგორ შეაფასებთ თქვენს მუშაობას, რა შეცდომები დაუშვით და შეიძლებოდა არ დაგეშვათ? ვინ იყო პირველწყარო? რუსული მედია წყაროდ თუ გამოგიყენებიათ? ეძებდით თუ არა მხარეებს შორის წყაროებს, რომლებიც გასცდებოდნენ მოვლენათა მარტივი ბიპოლარული ინტერპრეტირების ფარგლებს? რომელიმე მხარეს თუ უცდია თქვენი ბოროტად გამოყენება არასწორი ინფორმაციის მოწოდების ან რაიმე მსგავსი მეთოდით? რატომ არ აშუქებდით აქტიურად მიმდინარე საინფორმაციო ომს?

ექსპერტებს კი დავუსვით შემდეგი 5 კითხვა: როგორ უნდა იმუშაონ ჟურნალისტებმა საინფორმაციო ომის პირობებში, რომ არ დაარღვიონ სტანდარტები და არ იქცნენ, რომელიმე მხარის იარაღად? ჰქონდა თუ არა გავლენა საინფორმაციო ომს მედიაგაშუქებაზე აღნიშნული კონფლიქტის დროს? რა სტანდარტები დაირღვა მედიაში ჟურნალისტების მიერ? იყო თუ არა საკითხის მიკერძოებული გაშუქება? თქვენი შეფასებით, რა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ საინფორმაციო ომი მედიასივრცეში („რუსთავი2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, “RT”) საერთოდ (თუ არ ჩავთვლით „რუსთავი 2-ის“ ერთ-ერთ სიუჟეტში ერთხელ ნახსენებ ტერმინს) არ გაშუქებულა?

ჟურნალისტებიდან აღნიშნულ სტანდარტებს სრულად ან ნაწილობრივ იცნობდა ყველა ჟურნალისტი, გარდა ერთისა (დ. ცაგარელი), თუმცა, მისი თქმით, ყველა მათგანი მის მასალებში დაცული იყო.

საკუთარი მუშაობის შეფასების, დაშვებული შეცდომების შესახებ „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტმა (რომელიც მუშაობდა აზერბაიჯანულ მხარეს, დ. ქაშიაშვილი) მოგვიყვა, რომ ისინი გარკვეული დროით დააკავეს და მხოლოდ მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ეს მედიასაშუალება მათ კონფლიქტს არასწორად, არაობიექტურად არ გააშუქებდა. „იმედის“ ჟურნალისტს, ს. მთივლიშვილს (მუშაობდა ყარაბაღის სომხურ მხარეს) მიაჩნია, რომ პროდიუსერმა დაუშვა დიდი შეცდომა, რადგან მას ადგილზე თემის მოკვლევითვის ძალიან მცირე დრო ჰქონდა.

დაფიქსირდა ჟურნალისტების საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების მცდელობის ფაქტიც, არასწორი ინფორმაციის მიწოდებისა თუ რაიმე მსგავსი მეთოდით, „რუსთავი 2-ის“ და „იმედის“ ჟურნალისტის (სომხურ მხარეს მომუშავე) შემთხვევაში. როგორც „იმედის“ ჟურნალისტი (ს. მთივლიშვილი) აღნიშნავს, სომხური მხარე ცდილობდა, მოეხდინა ფსიქოლოგიური ზეწოლა (და არა მხოლოდ ფსიქოლოგიური) -,ჩვენი გადაადგილების ტრაექტორიის ზედმიწევნით გაგება და შეცდომაში შეყვანა სურდათ, ასევე მოინდომეს ჩვენი ნამუშევარის გადაწერა, რომ რომელიმე სომხური ტელევიზიის ეთერში გაეშვათ.“

საინფორმაციო ომის პირობებში მუშაობისთვის, ექსპერტების ინტერვიუებში შემდეგი პოზიციები გამოიხატა: ობიექტურობა, 3 დამოუკიდებელი წყაროს ცნება, კავშირი კონფლიქტში მონაწილე ქვეყნების მედიასაშუალებებთან და რედაქციასთან, ისეთი თემის გაშუქებაზე უარის თქმა, რომელშიც პასუხებზე მეტი კითხვებია (დ. ძიძიშვილი).

რაც შეეხება უმალოდ ამ ომს, ერთ-ერთი ექსპერტის, ირაკლი ალადაშვილის აზრით, საინფორმაციო ომი ქართულ მედიაზე ნაკლებად მოახდენდა გავლენას, იმიტომ, რომ ქართული მედია ამ დროს შედარებით ყველაზე ობიექტური შეიძლება ყოფილიყო.

დ. ძიძიშვილი ფიქრობს, რომ „ყველაზე ხშირად ირღვეოდა კონფლიქტის შინაარსში გარკვევის ვალდებულება, რადგან ჟურნალისტების გარკვეული ნაწილი კარგად არ იცნობდა იმ ვითარებას, რამაც გამოიწვია კონფლიქტი და მისი შემდგომი ესკალაცია. ასევე იშვიათი იყო სამართლიანი გაშუქებისა და ადამიანური მხარეების წარმოჩენის შემთხვევები. გარდა ამისა, ხშირად ვრცელდებოდა ოფიციალური სამთავრობო ინფორმაცია გადამოწმებისა და შესაბამისი ფაქტების წარმოდგენის გარეშე.“

ქართულ მედიას ორი ექსპერტი - ზ. ცოტნიაშვილი და ი. ალადაშვილი ნეიტრალურად მიიჩნევენ და ახასიათებენ, როგორც მხარეების ოფიციალური პოზიციების გამშუქებლებს; ზ. ცოტნიაშვილი ამბობს, რომ რომ “RT” აქტიურად არ ახორციელებდა კონფლიქტის ესკალაციას. დ. ძიძიშვილი და ი. ალადაშვილი კი ეთანხმებიან მის პროპაგანდისტულ მიზნებს, მოცემულ შემთხვევაში.

ტელეარხების მხრიდან საინფორმაციო ომის უყურადღებოდ დატოვების ფაქტზე რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა:

- რესურსების შესაძლო დაზოგვა (ზ. ცოტნიაშვილი);
- არა საკმარისი დრო ანალიზისა და დეტალურად გაშუქებისთვის (ი. ალადაშვილი);
- ე.წ. უფრო ცხელი ნიუსების სიმრავლე, რომელებმაც ამბავი გადაფარეს. ასევე „მედია ხშირად თავად ხდება საინფორმაციო ომის იარაღი და მისთვის მომგებიანი არ არის აღნიშნული ფაქტების გაშუქება; ამ საკითხზე საუბრისას უნდა აღინიშნოს მედიაგანათლებისა და მედიის მუშაკთა პროფესიონალიზმის როლიც. ხშირად მოუმზადებელი ჟურნალისტებისა და კონტენტზე პასუხისმგებელი პირების კომბინაცია ქმნის იმ გარემოს, სადაც საინფორმაციო ომის სპეციალისტები თავს შესანიშნავად ართმევენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, რაც ქართული მედიის კონტექსტში ყველაზე ხშირი ფაქტორია“ (დ. ძიძიშვილი).

3.6. გადაცემა - „საინფორმაციო ომი და მედია“

გარდა კვლევის ტრადიციული მეთოდებისა, გადავწყვიტეთ საინფორმაციო ომისა და მედიის კვლევის თემაზე, დამატებით, მოგვეზადებინა გადაცემა (ქრონომეტრაჟი 34 წთ და 19 წმ), სადაც კომპეტენტური პირები ისაუბრებდნენ (დავით ქუტიძე - ფაქტ-მეტრის რედაქტორი, დავით ძიძიშვილი - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის წარმომადგენელი, თამაზ ჩიქვანია - ჟურნალისტი და საინფორმაციო სააგენტო რეპორტიორის დირექტორის მოადგილე). გადაცემაში წარმოდგენილია, როგორც საინფორმაციო ომისგან მომდინარე საფრთხეები (მათ შორის, მედიაჰრილში), ასევე განხილულია რუსული საინფორმაციო ომი და რუსული მედია, ქართულ სივრცეში. გადაცემის ინტერნეტ-მისამართი: <https://www.youtube.com/watch?v=vAs32S3Dzck&t=30s>.

დასკვნა

კვლევის შედეგად პირველ საკვლევ კითხვაზე, თუ რა სიხშირით შუქდებოდა მედიაში კონფლიქტი და რამდენჯერ იყო იგი დღის მთავარი თემა, მივიღეთ შემდეგი შედეგები - ყველაზე დიდი დრო „რუსთავი 2-მა,“ დაუთმო თემას და მოამზადა 15 მასალა; სამივე ქართული მედიის საინფორმაციო ბადის პირველ ნომრად თემა მოხვდა 4 დღის განმავლობაში 2-ჯერ. სხვა დღეებში კი თემა გადაიფარა სხვა მნიშვნელოვანი ამბებით.

მეორე საკვლევ კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა, ომის მიმდინარეობისას მისი გაშუქების საერთაშორისო, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტებისა და ნორმების დარღვევას, მივიღეთ შემდეგი შედეგი - ტელევიზიები ნაკლებად საუბრობდნენ კონფლიქტის მოგვარების გზებზე (ქართულ მედიაში - „რუსთავი 2“ უფრო საუბრობს ვიდრე სხვები; „RT“- საერთოდ არ საუბრობს). ისინი ძირითადად ფაქტების მიმოხილვით და მხარეების ოფიციალური (სომხეთისა და აზერბაიჯანის) პოზიციების გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ (ქართული მედია). ამასთან, ე.წ. მთიანი ყარაბაღის პოზიცია უფრო მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი. უნდა აღვნიშნოთ „იმედის“ 2 აპრილისა და 31 დეკემბრის გადაცემები, სადაც ძირითადად აზერბაიჯანული პოზიცია იყო გაშუქებული, რასაც, ამ შემთხვევაში, ვერ ვიტყვით „RT-ზე,“ აქ „სამივე“ მხარე დაბალანსებული იყო (წარმოდგენილი სტანდარტებიდან მხოლოდ ამ სტანდარტს აკმაყოფილებს რუსული მედიის მიერ მომზადებული მასალები). ადამიანური ისტორიები ყველაზე დიდი რაოდენობით „რუსთავი 2-მა“ წარმოადგინა, ყველაზე მცირე რაოდენობით კი - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა.“ სამშვიდობო ინიციატივებს კი თითქმის ყოველდღე ყველა მედიასაშუალება აშუქებდა გარდა „RT“-სა, რომელიც საუბრობდა მხოლოდ კონფლიქტის გამწვავებაზე. მაშინაც კი, როდესაც

ყველა მედიამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადა, ამ უკანასკნელმა ზედაპირულად მოიხსენია შეტაკებების შეწყვეტა, თუმცა იქვე დაამატა, რომ საარტილერიო დარტყმები ისევ მიმდინარეობდა. „RT“-მ სიტუაცია შეაფასა, როგორც კრიზისის, ფართომასშტაბიან საომარ კონფლიქტში გადაზარდის საფრთხის მქონედ.

ხომ არ ექცეოდნენ გავლენის ქვეშ ჟურნალიტები უშუალოდ ადგილზე მუშობის დროს?- ამ კითხვაზე შევეცადეთ ძირითადად სიღრმისეული ინტერვიუებით გაგვეცა პასუხი, რის შედეგადაც ყველა შემთხვევაში უარყოფითი პასუხი მივიღეთ. ზოგადი დაკვირვების შედეგადაც ეს დადასტურდა.

წარმოდგენილ საკვლევ პერიოდში ყველა ტელევიზიას, გარდა „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ ადგილზე ჰყავდათ საკუთარი კორესპონდენტი, რომლებიც მრავალფეროვან წყაროებს იყენებდნენ.

საქართველოსთვის არსებული საფრთხეებზე „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ყველაზე დიდი რაოდენობით იმსჯელა. აქვე უნდა აღვნიშნოთ წლის შემაჯამებელი გადაცემაც, სადაც საკითხი მხოლოდ „იმედის“ მიმოხილვაში მოხვდა.

რაც შეეხება კითხვას, საინფორმაციო ომისა გაშუქების შესახებ - დაკვირვების შედეგად ვნახეთ, რომ არცერთმა ტელევიზიამ, საკვლევ პერიოდის განმავლობაში არ გააშუქა აქტიურად მიმდინარე საინფორმაციო ომი, რისი მიზეზიც შესაძლოა ქვეყანაში მიმდინარე „ცხელი“ პოლიტიკური ამბები ანდა ჟურნალისტებისთვის სამუშაოდ მიცემული დროის სიმცირე იყო. საინფორმაციო ომი მხოლოდ ერთხელ ახსენეს „რუსთავი 2-ის“ ერთ-ერთ სიუჟეტში, თუმცა შეგვხვდა მასთან დაკავშირებული რამდენიმე სხვა ტერმინი: პროპაგანდა (რუსეთზე საუბრისას ახსენა „რუსთავი 2-ში“ მიწვეულმა სტუმარმა); ჰიბრიდული გამოწვევები („იმედში“ ერთხელ გაჟღერდა). ხოლო ურთიერთსაპირისპირო მონაცემების/ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საინფორმაციო ომის ერთ-ერთი ნაწილია ჯამში 19-ჯერ გაჟღერდა.

მონიტორინგის შედეგად ჩვენი ჰიპოთეზა - მედიასაშუალებები, საინფორმაციო ომის მიმდინარეობისას, ექცეოდნენ გარკვეული ძალების ზეგავლენის ქვეშ და არღვევდნენ ომის გაშუქების სტანდარტებს - დადასტურდა „RT-ის“ შემთხვევაში, რომლის მედიაგაშუქებაც საერთო სურათისა და ანალიზის მიხედვით ნეგატიური მაჩვენებლისაა. ხოლო ქართული მედიის შემთხვევაში, საქმე გვაქვს არა საინფორმაციო ომის ზეგავლენასთან, არამედ საკითხის არც თუ ისე სიღრმისეულად გაშუქებასთან (თუ არ ჩავთვლით საქართველოსთვის არსებული საფრთხეებზე მსჯელობას), რადგან ფოკუსირება ძირითადად ფაქტების აღწერასა და მხარეების ოფიციალური პოზიციების გაჟღერებაზე იყო გადატანილი. ქართული მედია დროს უთმობდა - საბრძოლო

მოქმედებებს, ადამიანურ ისტორიებს, საქართველოსთვის შესაძლო საფრთხეების გამუქებას, აქტიურად მიმდინარე საინფორმაციო ომს კი უყურადღებოდ ტოვებდა .

ბიბლიოგრაფია:

1. სუნ-ძი (2016), ომის ხელოვნება, თბილისი: „თეკა&კომპანია“;
2. Weerakkody, N. (2009), Research Methods for Media and Communication, რიდერი (თარგმანი: ნინო მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია; რედაქტირება და კორექტურა: მარი წერეთელი);
3. მიქელსონი, დ., გრიფინი, ტ.,ლ. (2005), „კონტენტ ანალიზის ახალი მეთოდი,“ რიდერი (თარგმანი გერსამია მ.);
4. კაპელა და ჯეიმსონი, 1997, 39 გვ.;
5. ძიძიშვილი, დ. (2015), საინფორმაციო ომი, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ფაქტორი, სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახ. უნივერსიტეტი, თბილისი;
6. Cyber House (2016), ყარაბაღის ინფორმაციული და კიბერ ომი, <http://bit.ly/2AXVwAu> (ბოლო წვდომის თარიღი 26 თებერვალი, 2018);
7. ნამჩავაძე, ბ. (2016), ომი, რომელიც გვებეზა, <http://forbes.ge/news/1371/omi%2C-romelic-gvexeba> (ბოლო წვდომის თარიღი 26 თებერვალი, 2018);
8. გირაგოსიანი, რ. (2017), ომი მთიან ყარაბაღში: რას შეიძლება ნიშნავდეს ის საქართველოსთვის? <http://bit.ly/2HMJC11> (ბოლო წვდომის თარიღი 26 თებერვალი, 2018);
9. გოგოლაძე, ლ. (2016), "სომხეთის და აზერბაიჯანის დაპირისპირება შესაძლოა სამხრეთ კავკასიის დიდ ომში გადაიზარდოს," <https://www.kvirispalitra.ge/politic/29157-qsomkhetis-da-azerbaijanis-dapirispireba-shesadzloa-samkhreth-kavkasiis-did-omshi-gadaizardosq.html> (ბოლო წვდომის თარიღი 26 თებერვალი, 2018);

10. გადაცემა განთიადი, ერთსულოვნება (2016), მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და საქართველო, <https://www.youtube.com/watch?v=NVwGzTDd8UA> (ბოლო წვდომის თარიღი 26 მარტი, 2018);
11. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი მონაცემები, <http://census.ge/ge/mosakhleobis-2014-tslis-sakoveltao-aghtseris-dziritadi-shedegebi-zogadi-informatsia/201#.WyAfeoozbIW> (ბოლო წვდომის თარიღი 12 ივნისი, 2018);
12. ვიკიპედია, Collective Security Treaty Organization, https://en.wikipedia.org/wiki/Collective_Security_Treaty_Organization (ბოლო წვდომის თარიღი 12 ივნისი, 2018);
13. Stein, G. J. (1995), Information Warfare, <https://www.scribd.com/document/129280540/Information-Warfare-by-Prof-George-J-Stein> (ბოლო წვდომის თარიღი 6 თებერვალი, 2018);
14. ALBERTS, D.S. (1996), Defensive Information Warfare, http://www.dodccrp.org/files/Alberts_Defensive.pdf (ბოლო წვდომის თარიღი 5 თებერვალი, 2018);
15. Alberts, D.S., Garstka, J.J., Hayes, R.E., Signori, D.A. (2001), Understanding Information Age Warfare, <http://www.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a395859.pdf> (ბოლო წვდომის თარიღი 6 თებერვალი, 2018);
16. Porche, I.R., Paul, C., York, M., Serena, C.C., Sollinger, J.M., Axelband, E., Min, E.Y., Held, B.J. (2013), REDEFINING INFORMATION WARFARE BOUNDARIES FOR AN ARMY IN A WIRELESS WORLD, https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monographs/MG1100/MG1113/RAND_MG1113.pdf (ბოლო წვდომის თარიღი 6 თებერვალი, 2018) ;
17. Hathaway, O.A., Crootof, R., Levitz, P., Nix, H., Nowlan, A., Perdue, W., Spiegel, J. (2012), The Law of Cyber-Attack, California Law Review, Vol. 100, No. 4, pp. 817-885, <http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/pdf/23249823.pdf?refreqid=excelsior:7eb9d3b5a9530b77e2eb94c661a6a0a> (ბოლო წვდომის თარიღი 7 თებერვალი, 2018);
18. ოქსფორდის ლექსიკონი, https://en.oxforddictionaries.com/definition/information_war (ბოლო წვდომის თარიღი 15 თებერვალი, 2018);

19. Molander, R.C., Riddile, A.S., Wilson, P. A., Strategic Information Warfare: A New Face of War, https://www.rand.org/pubs/monograph_reports/MR661/index2.html (ბოლო წვდომის თარიღი 14 თებერვალი, 2018);
20. Tylor, A. (2001), Fighting the Information War, Fortnight, No. 391 pp. 12-13, <http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/pdf/25560135.pdf> (ბოლო წვდომის თარიღი 14 თებერვალი, 2018);
21. Gjelten, T. (1998) Professionalism in War Reporting: A Correspondent's View, https://www.carnegie.org/media/filer_public/40/53/40532590-122f-4a48-a470-5c4a2b793c48/ccny_report_1998_correspondent.pdf (მიითითებულია შემდეგ წყაროში - http://www.kas.de/wf/doc/kas_47078-1522-1-30.pdf?161118091728), (ბოლო წვდომის თარიღი 20 თებერვალი, 2018);
22. Elida, K., Jacobsen, U. (2007), Reviewed Work(s): Journalists under Fire: Information War and Journalistic Practice by Howard Tumber and Frank Webster, Journal of Peace Research, Vol. 44, No. 5, p. 641, <http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/pdf/27640587.pdf?refreqid=excelsior%3A00b7d72cd8bb3da3715146d0bb1d6c04> (ბოლო წვდომის თარიღი 20 თებერვალი, 2018);
23. Rohn, A. (2014), Media Role in The Vietnam War, <https://thevietnamwar.info/media-role-vietnam-war/> (ბოლო წვდომის თარიღი 15 მარტი, 2018);
24. Neumann, R., Fahmy, S. (2016), Measuring journalistic peace/war performance: An exploratory study of crisis reporters' attitudes and perceptions , the International Communication Gazette , Vol. 78(3) 223–246, <http://journals.sagepub.com.lez.tsu.edu.ge:2048/doi/pdf/10.1177/1748048516630715> (ბოლო წვდომის თარიღი 20 თებერვალი, 2018);
25. ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (1999), მშვიდობის გაშუქების ექვსი სავალდებულო წესი ჟურნალისტებისთვის, <http://reporter.ge/mshvidobis-gashuqebis-eqysi-savaldebulo-tsesi-zhurnalistebishvis/> (ბოლო წვდომის თარიღი 12 ივნისი, 2018);
26. ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები, <https://bit.ly/2CQfwpN> (ბოლო წვდომის თარიღი 12 ივნისი, 2018);
27. გადახაბაძე, ე. (2016), შეტაკებები გრძელდება - ყარაბაღის ომის ისტორია, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჯარების შესაძლებლობები და ირანის მუქარა,

- <https://www.kvirispalitra.ge/msoflio/29198-shetakebebi-grdzeldeba-yarabaghis-omis-istoria-somkhethisa-da-azerbaijanis-jarebis-shesadzleblobebi-da-iranis-muqara.htm> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
28. გაბიევი, ხ. (2003), მთიანი ყარაბაღი როგორც გაყინული კონფლიქტების მაგალითი, ჟურნალი ახალი აზრი 2003, N 11, <https://bit.ly/2HkXWwL> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
29. ეუთო, Who we are, <https://www.osce.org/minsk-group/108306> (ბოლო წვდომის თარიღი 28 ივნისი, 2018);
30. Broers, L. (2016), The Nagorny Karabakh Conflict Defaulting to War, <https://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/publications/research/NK%20paper%2024082016%20WEB.pdf> (ბოლო წვდომის თარიღი 13 მარტი, 2018);
31. Global Conflict Tracker (2017), Nagorno-Karabakh Conflict, www.cfr.org/interactives/global-conflict-tracker#!/conflict/nagorno-karabakh-conflict (ბოლო წვდომის თარიღი 13 მარტი, 2018);
32. აჰმედბეილი, ს., კარაპეტიანი, ა. (2016), ყარაბაღის კონფლიქტის ირგვლივ მღელვარება არ იკლებს, <http://bit.ly/2FzJjco> (ბოლო წვდომის თარიღი 13 მარტი, 2018);
33. კომახია მ. (2016), სომხეთ-აზერბაიჯანის „ოთხდღიანი“ ომი: ვინ წააგო და ვინ მოიგო, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/73-expert-opinion-geo.pdf> (ბოლო წვდომის თარიღი 13 მარტი, 2018);
34. TUNCEL, T. K. (2016), A SHORT ASSESSMENT OF THE “4-DAY WAR” IN KARABAKH, <http://avim.org.tr/en/Yorum/A-SHORT-ASSESSMENT-OF-THE-4-DAY-WAR-IN-KARABAKH> (ბოლო წვდომის თარიღი 14 მარტი, 2018);
35. Ingilizian, M. (2016), Azerbaijan’s Incremental Increase On The Nagoro Karabakh Trontline, https://www.bellingcat.com/news/rest-of-world/2016/04/12/detailing-azerbajians-incremental-increase-in-nagorno-karabaghs-frontline/#_edn1 (ბოლო წვდომის თარიღი 14 მარტი, 2018);
36. Yin, R.K. (1994) ,Case Study Research - Design and Methods (Second Edition), <http://www.madeira-edu.pt/LinkClick.aspx?fileticket=Fgm4GJWVTRs%3D&tabid=3004> (ბოლო წვდომის თარიღი 12 ივნისი, 2018);

37. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი,
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3606> (ბოლო წვდომის თარიღი 13 ივნისი, 2018);
38. კიბერ სივრცის სამართალი, ტერმინთა განმარტება, http://ilawge.blogspot.com/p/blog-page_11.html (ბოლო წვდომის თარიღი 13 ივნისი, 2018);
39. საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ (2012),
<https://bit.ly/2y5FW9F> (ბოლო წვდომის თარიღი 13 ივნისი, 2018);
40. ავალიშვილი, ლ., ლომთაძე, გ., ქეცხიშვილი, ს. (2016), კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა , <https://bit.ly/2jP3t42> (ბოლო წვდომის თარიღი 13 ივნისი, 2018);
41. კვირის პალიტრა (2015), ჰიბრიდული ომი და საქართველო,
<https://www.kvirispalitra.ge/politic/24177-hybriduli-omi-da-saqarthvelo.html> (ბოლო წვდომის თარიღი 13 ივნისი, 2018);
42. ლექსიკონი Collins, <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/hybrid-warfare> (ბოლო წვდომის თარიღი 13 ივნისი, 2018);
43. Business Media Georgia (2018), TVMR: 2017 წლის ყველაზე რეიტინგული ტელევიზიები, <http://www.bm.ge/ka/article/tvmr-2017-wlis-yvelaze-reitinguli-televiziebi/16418> (ბოლო წვდომის თარიღი 13 ივნისი, 2018);

გაანალიზებული ვიდეოები:

44. <https://www.youtube.com/watch?v=7WINmzgPR6Y> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
45. <https://www.youtube.com/watch?v=58B-ogcyzZU> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
46. <https://www.youtube.com/watch?v=6rpyoxdmlI> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
47. <https://www.youtube.com/watch?v=QrFDTLPruIE> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);

48. <https://www.youtube.com/watch?v=otsWV84rJiU> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
49. <https://www.youtube.com/watch?v=M9CM3Q45vvk> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
50. <https://www.youtube.com/watch?v=j3-wJUHtb6s> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
51. https://www.youtube.com/watch?v=D7hq_bJ5sFU (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
52. <https://www.youtube.com/watch?v=7WINmzgPR6Y> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
53. <http://rustavi2.ge/ka/video/14258?v=2> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
54. <http://rustavi2.ge/ka/video/21672?v=2> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
55. <http://rustavi2.ge/ka/video/14323?v=2> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
56. <http://rustavi2.ge/ka/video/14283?v=2> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
57. <http://rustavi2.ge/ka/video/14227?v=2> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
58. <http://rustavi2.ge/ka/video/14229?v=2> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
59. <https://www.youtube.com/watch?v=S14etZJbsJs> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
60. <https://www.youtube.com/watch?v=E1QfmVNuW3g> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
61. <https://www.youtube.com/watch?v=z57AePQ9M4w> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
62. <https://www.youtube.com/watch?v=YseJRQtL7Kg> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
63. <https://www.youtube.com/watch?v=p3hmgMiTgr8> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
64. <https://www.imesi.ge/ge/video/8498/qronika-8-saatze--4-aprili-2016-tseli> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
65. <https://www.imesi.ge/ge/video/8504/qronika-8-saatze--5-aprili-2016-tseli> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);

66. <https://www.youtube.com/watch?v=K89AnlsogQQ> (ბოლო წვდომის თარიღი 11 მარტი, 2018);
67. ტელეკომპანია „იმედი“ (02.04.2016), საინფორმაციო გამოშვება-ქრონიკა, თბილისი, (მოპოვებულია „იმედის“ არქივში);
68. ტელეკომპანია „იმედი“ (03.04.2016), საინფორმაციო გამოშვება-ქრონიკა, თბილისი, (მოპოვებულია „იმედის“ არქივში);
69. ტელეკომპანია „იმედი“ (31.12.2016), საინფორმაციო გამოშვება-ქრონიკა, თბილისი, (მოპოვებულია „იმედის“ არქივში);
70. აფციაური, ე. (2018), კვლევის ფარგლებში ჩაწერილი გადაცემა - „საინფორმაციო ომი და მედია,“ თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, <https://www.youtube.com/watch?v=vAs32S3Dzck&t=30s>.